



ინოვაციური სათბური სოფელ მურჯახეთში

სამცხე-ჯავახეთი საქართველოს მაღალმთიანი რეგიონია და სათბურის მოწყობა არარენტაბელურად ითვლება. თუმცა სოფელ მურჯახეთის მკვიდრმა ენოკ ბაბაჯანიანმა ეს სტერეოტიპი დაამსხვრია და ინოვაციური სათბური ააშენა.

ენოკ ბაბაჯანიანს სათბურის აშენების იდეა ჩრდილოეთ ირლანდიაში სასწავლო ტურის ფარგლებში გაუჩნდა. ირლანდიაში ვიზიტი ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) წევრებისათვის ევროკავშირი საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში პროექტის ფარგლებში მოეწყო, რომელსაც წარმატებით ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი (DRDVE/GIPA) დასავლეთ კორკის განვითარების პარტნიორობასთან (ჩრდილოეთ ირლანდია) თანამშრომლობით.



პროექტის შედეგად დასაქმდა: 3 ადგილობრივი
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 50,000 ლარი
ევროკავშირის დაფინანსება: 32,500 ლარი
თანადაფინანსება: 17,500



“ჩრდილოეთ ირლანდიაში ვნახე, როგორ გამოიმუშავებენ ბიო გაზს და იყენებენ რძის წარმოებაში. პროფესიით მშენებელ-ინჟინერი ვარ, ელექტროობაშიც ვერკვევი და დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემ იდეას ტექნიკურად ხორცს შევასხამდი. პრობლემად ფინანსები რჩებოდა. დავეწერე პროექტი, მივმართე LAG-ს, რომლის წევრიც თავად ვიყავი და კარგად ვიცოდი სტრატეგია და პრიორიტეტები”, - აცხადებს ინოვაციური მეწარმე.

ევროკავშირმა პროექტი დააფინანსა. მეწარმემ მზის ელექტროსადგური ააშენა და ბიოგაზის წარმოება დაიწყო, 200 მ2 სათბური მოაწყო და ბელფორდის ჯიშის პომიდორიც დათესა.





ზაფხულის პერიოდში, ენოკ ბაბაჯანიანი მზის სადგურის ენერგიას ენერგოგამანაწილებელ კომპანია «ენერგო პრო ჯორჯიაზე» 11,5 თეთრად ყიდის და მათგან 18 თეთრად ძირითადად ზამთარში ყიდულობს. ახლა კომპანიას მისი 180 ლარის დავალიანება აქვს. ენოკ ბაბაჯანიანის თქმით, მისი პროექტი საქართველოში ერთადერთი და ინოვაციურია იმ თვალსაზრისით, რომ სათბურისათვის მზის სადგური პირველად მან გამოიყენა და დღეს უკვე სხვა დაინტერესებულ პირებს სასრგებლო რჩევებსა და რეკომენდაციებს უწევს.

მეწარმე უკვე ბიოგაზსაც იღებს, რომელიც სათბურსა და სახლში იყენებს, ნაწილს კი ბიოსასუქად ყიდის.

ზაფხულის სეზონზე პომიდვრის მოსავალმა დაახლოებით 5 ტონა შეადგინა. ენოკ ბაბაჯანიანი ზამთარში მწვანეხაზის მოყვანას და გაყიდვას აპირებს. ის წარმოებაში ქიმიკატებს არ იყენებს და მისი პროდუქტი ნატურალურია.

მეწარმე გასაღების ბაზრისა და ზოგადად, ბიზნესის გაფართოებაზეც ფიქრობს. მისი აზრით, რეგიონს სწორედ ინოვაციური და ბიზნესზე ორიენტირებული პროექტები სჭირდება, რაც უზრუნველყოფს მდგრად ეკონომიკურ განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.



ინიციატივა დაფინანსებულია ევროკავშირის საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში პროექტის ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი (DRDVE/GIPA). პროექტის პაჩგნიოხები ახიან მეხსი ქოხფსი, ELVA საზოგადოებრივი ჩაბთულობა და დასავდეთ კოხკის განვითარების პაჩგნიოხობა.

ევროკავშირის მხარს უჭერს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან საერთო ბიუჯეტით 179,5 მილიონი ევრო. ENPARD-ის ძირითადი მიზანი საქართველოში სოფლად სიღარიბის დაძლევაა. პროგრამის პიხვედი ფაზის პიოტიგევი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, ხოლო მეოხე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზიდას. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.enpard.ge.